



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისი

№ 09

„ 15 “ 04 2011 წ.

ი. გიორგობიანის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის №1-1/584 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის “ი” ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს ირინე გიორგობიანმა – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილემ.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სააგენტოს დირექტორის პირველ მოადგილეს კონსტანტინე ნიკურაძეს.

მიხეილ ხმალაძე